

Studying Science in Georgia

Georgian transcript:

ო: მოგვიყვი ცოტა საქართველოში მეცნიერების შესახებ.

ნ: ააა, სამწუხაროდ საქართველოში მეცნიერება მაგარი განუვითარებელია, იმიტო რო¹ კომუნიზმის მერე, და კომუნიზმის დამთავრებამდეც, დაინგრა განათლების სისტემა და მასთან ერთად მეცნიერება და სამეცნიერო ადგილებიც. შესაბამისად, განადგურდა ყველაფერი, და ეხლა ამჟამად ძალიან დაბალ დონეზეა საქართველოს მეცნიერება და საერთოდ განათლების დონეც არ არი უმაღლესი, ჩემი აზრით.

ო: და თქვენ განათლება საქართველოში მიიღეთ?

ნ: ნაწილობრივ. ამჟამად ამერიკაში ვიღებ და მანამდე გერმანიაშიც მივიღე. ზოგადად ქართულ სკოლაზე და ასე ვთქვათ საერთო სკოლებზე ძალიან დაბალი დონე არის სწავლის და თუ გინდა საერთოდ არ ისწავლი, იმიტო რო დაფინანსება არააქ ელემენტარულად იმდენი როგორც უცხოელებს. მეორეს ერთი მასწავლებლების დონეც საკმაოდ დაბალი არი, რასაც ვცდილობოთ რო გამოვასწოროთ. სხვათაშორის მე რომელ სკოლაშიც ვიყავი ის მიმაჩნია საკმაოდ კარგ სკოლად და აქაც რო ვუყვები ჩემ სკოლაში ოცდებიან. ამერიკული აკადემია ქვია და პროფესიონალური მასწავლებლები ყავთ, რითი განსხვავდება ეგ არის ერთადერთი და... ერთ-ერთი და ის არის რომ პატარა კლასებია, თხუთმეტ კლასიანი... თხუთმეტ ბავშვიანი კლასები იყო და ყველაფერს ინგლისურად გვასწავლიდნენ. აამ, აქ სწავლას სერიოზულად ეკიდებოდნენ და ნიშნებს გიწერდნენ სერიოზულად. სხვა ქართულ სკოლებში მაგალითად ნიშნებს არც წერენ სერიოზულად, იმიტომ რომ ორმოცდაათი ბავშვი ზის კლასში და შეიძლება ვიღაცამ არაფერი არ გააკეთოს და მაინც კაი ნიშანი მიიღოს თუ მასწავლებლის მეგობარი არი. და ამერიკულ აკადემიაში არ იყო ეს ესე და მასწავლებლებიც ბევრად უფრო პროფესიონალები იყვნენ და ასე ვთქვათ იმისთვისაც გვწვრთვნიდნენ რო მერე კარგ უნივერსიტეტებში წამოვსულიყავით უცხოეთში, ან ამერიკაში, ან გერმანიაში, ან სადაც ინგლისურად სწავლობენ.

ო: გასაგებია. და რას გვეტყვით ქართველი ახალგაზრდების ზოგადი განათლების შესახებ?

¹ სწორი ლიტერატურული ფორმაა *იმიტომ რომ*, მაგრამ სალაპარაკო ენაში ხშირად ხმარობენ *იმიტო რო*-ს.

ნ: ნუ, როგორც უკვე ვთქვი, ქართველი ახალგაზრდები ძალიან ბევრნი რჩებიან ეხა² საქართველოში და ვერ... არააქვთ საშუალება რომ უცხოეთში წამოვიდნენ სასწავლებლად. და რჩებიან ქართულ უნივერსიტეტებში სადაც საკმაოდ ცუდი ხარისხის განათლება არი და ძალიან ბევრი მომდომება არი საჭირო იმისათვის რო³ ისწავლო იმიტო რო ზოგადი ატმოსფერო ისეთი არი რო არ იმეცადინო და მუქთად იდო და უბრალოდ არაფერი არ გააკეთო და ნუ ვფიქრობ რო განათლების დონე შესაბამისად დაბლა არი და მარტო ერთი-ორი გამორჩეული ადამიანი თუ მიაღწევს იმას რასაც მართლა უნდა რო მიაღწიოს.

English Translation

I: Tell us a little about science in Georgia.

N: Um... Unfortunately, science in Georgia is very underdeveloped, because after Communism, and even before its fall, the education system was destroyed, and together with it the science and scientific spaces. Therefore, everything was destroyed and, now science in Georgia is on a very low level, and generally the level of education is not the highest either.

I: And did you receive your education in Georgia?

N: Partially. At this moment I'm studying in America, and before that I studied in Germany as well. In general, in Georgian schools and the so-called public schools, the level of education is very basic, and you don't have to study if you don't want to, because the financing is not as high as it is abroad. Secondly, the quality of teachers is low as well, which we are trying to improve. By the way, I regard the school I went to as a fairly good one, and when I tell my friends here, they are surprised. It's called the American Academy⁴, and they have professional teachers; this is only... one of the differences... and that they have small classes, consisting of fifteen classes... kids, and everything was taught in English. Um, there they took teaching seriously and we were graded seriously. In other Georgian schools, for example, they don't give grades seriously, because there are 50 people in a classroom, and it can be that someone does nothing but still receives a good grade if he/she is a friend of the teacher. At the American Academy this was not the case, and the teachers were more professional, and so to speak, they were training us to go to good universities abroad - to America or Germany, or wherever one can study in English.

I: I see. And what can you tell us about the general education of youth?

² სწორი ლიტერატურული ფორმაა *ეხლა*, მაგრამ სალაპარაკო ენაში ხშირად ხმარობენ *ეხა-ს*.

³ სწორი ლიტერატურული ფორმაა *რომ*, მაგრამ სალაპარაკო ენაში ხშირად ხმარობენ *რო-ს*.

⁴ This school's official name is the Guivy Zaldastanishvili American Academy in Tbilisi. It is a private high school in Tbilisi, the capital city of Georgia.

N: Well, as I already mentioned, a lot of Georgian youth stay in Georgia and cannot afford to study abroad. And they stay at Georgian universities, where the quality of education is very low, and one needs a very strong will in order to study, because the general environment encourages one not to study and be idle⁵ and just do nothing. And, so I think that the level of education is therefore low, and only one or two distinguished people are able to achieve what they really want to.

About CultureTalk: CultureTalk is produced by the Five College Center for the Study of World Languages and housed on the LangMedia Website. The project provides students of language and culture with samples of people talking about their lives in the languages they use every day. The participants in CultureTalk interviews and discussions are of many different ages and walks of life. They are free to express themselves as they wish. The ideas and opinions presented here are those of the participants. Inclusion in CultureTalk does not represent endorsement of these ideas or opinions by the Five College Center for the Study of World Languages, Five Colleges, Incorporated,

⁵ The interviewee uses an idiom *მუქობად იდგა*, which directly translates as “to lie gratis.”

or any of its member institutions: Amherst College, Hampshire College, Mount Holyoke College, Smith College and the University of Massachusetts at Amherst.

© 2013 Five College Center for the Study of World Languages and Five Colleges, Incorporated